

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისათვის ზომის

ერთეული ლარებში

1.პროგრამის სახელწოდება

ააიპ აჭარის „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს 2018 წლის პროგრამის ფარგლებში სასათბურე კონსტრუქციით უზრუნველყოფილი ბენეფიციარისთვის სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის დაფინანსების ხელშეწყობა შემდგომში მეურნეობების განვითარების მიზნით

2.პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

„1 მაისი“ 2018 წელი - „31 დეკემბერი“ 2018 წელი.

3.პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო საბიუჯეტო კლასიფიკაციით:

4.პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 90000 ლარი.

5.პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახური

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

პროგრამის მიზანია მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენებით სასათბურე სექტორის განვითარება, ფერმერულ მეურნეობებში საადრეო ბოსტნეული კულტურების წარმოების ხელშეწყობა, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცირე მიწიანობის პირობებში რესურსების რაციონალური გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს მეჩაიობა და მეციტრუსეობა წარმოადგენდა. ამჟამად მეჩაიობის ინფრასტრუქტურა ძირეულად მოშლილია და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილის საოჯახო მეურნეობები ორიენტირებულია მხოლოდ არარენტაბელურ, პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი პროდუქციის წარმოებაზე. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის მიზნით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მებოსტნეობის დარგში, დახურული გრუნტის კიდეე უფრო განვითარება და ბოსტნეული კულტურების არასეზონური წარმოების ხელშეწყობა, რისთვისაც აუცილებელია სასათბურე კონსტრუქციებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარებისათვის სათბურის საძირკვლის მოწყობის ხელშეწყობა რომლითაც ხელი შეეწყობა ბენეფიციარს სათბურის მოწყობაზე რაც შემდგომში გაზრდის მათ ფინანსურ შემოსავლებს.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორი:

| N | პროგრამის მიზნები | მიზნების აღწერის შეფასების ინდიკატორები |
|---|--|--|
| 1 | სასათბურე სექტორის განვითარება | მოსარგებლე პირთა რაოდენობის მიხედვით |
| 2 | სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის ეტაპობრივი დაფინანსების უზრუნველყოფა | სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის დაფინანსება ფერმერთა და აგრომეწარმეთა თანადაფინანსებით უზრუნველყოფით დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი |
| 3 | ბოსტნეული კულტურების არასეზონური წარმოების ხელშეწყობა | იმპორტირებულ პროდუქციის ნაწილობრივ ჩაანაცვლება ადგილობრივად წარმოებული პროდუქციით. |

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

| N | დასახელება | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|---|---|------------|------------|------------|
| 1 | ბენეფიციარების განცხადებების მიღება | X | X | X |
| 2 | ბენეფიციარებზე სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის ეტაპობრივი დაფინანსების უზრუნველყოფა | X | X | X |

9.პროგრამით მოსარგებლე პირები:

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა, რომლებსაც ააიპ „აჭარის აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს მიერ გადაცემული აქვთ 2018 წლის პროგრამის ფარგლებში სასათბურე მეურნეობის კონსტრუქციები.

10.პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევისა და დაფინანსების წესი;

1.პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა, რომლებსაც ააიპ „აჭარის აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს მიერ გადაცემული აქვთ 2018 წლის პროგრამის ფარგლებში სასათბურე მეურნეობის კონსტრუქციები და საკუთრებაში გააჩნიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ფაქტიურად ცხოვრობენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

2. ბენეფიციარების განცხადებების განხილვა/შერჩევას განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია, ხოლო შემდგომ მონიტორინგს განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია.

3. შერჩევის კრიტერიუმები განსაზღვრდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ააიპ „აჭარის აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე გადმოგზავნილი ინფორმაცია იმ ბენეფიციარების შესახებ, რომლებსაც გადაეცათ 2018 წლის პროგრამის ფარგლებში სასათბურე მეურნეობის კონსტრუქციები თანადაფინანსებით.

4.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის დაფინანსება განხორციელდება ეტაპობრივად მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად იმ ბენეფიციარებზე, რომლებიც შეიძენენ სამშენებლო მასალებს სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის

5. ბენეფიციარებზე დაფინანსება განხორციელდება ეტაპობრივად იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი გამოთქვამს თანხმობას სათბურე საძირკვლის მოწყობას განახორციელებს თავისი ძალებით.

11. პროგრამის ბიუჯეტი;

1. სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის გასაწევი ხარჯები.

| N | დასახელება | ზომის ერთეული | გრძივი მეტრი | სავარაუდო ფასი გრძივი მეტრის (ლარი) | საერთო ფასი |
|---|-----------------------------|---------------|--------------|-------------------------------------|-------------|
| 1 | სათბურის საძირკვლის მოწყობა | გრძივი მეტრი | 2400 | 37,5 | 90000 |
| | სულ ჯამი: | | 2400 | | 90000 |

2. პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

| N | წყაროს დასახელება | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი | სულ ჯამი |
|---|--|-----------|-----------|-----------|----------|
| | ძირითადი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 100% | 90000 | - | - | 90000 |

დამატებითი ინფორმაცია;

2018 წლის განმავლობაში მოსახლეობის პროგრამაში ჩართვა განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ააიპ აჭარის „აგროპროექტების მართვის ცენტრ“-ს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე გადმოგზავნილი ინფორმაციის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და ბენეფიციარების განცხადებების საფუძველზე.

პროგრამა განხორციელდება ეტაპობრივი დაფინანსების პრინციპით.